საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1717
17/05/2022

1717-21-2-202205171033

შპს „ჯორჯტრანსს“
მის: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. №2/9
ელ-ფოსტა: mailto:gt@georgtrans.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9304 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბერეჟოულში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 1 500 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 300 მეტრით (ს/კ: 28.06.26.240). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „საწარმოში ხორციელდება ბუნებრივი რესურსის ქვიშა-ხრეშის (ბალასტის) სველი წესით გადამუშავება სხვადასხვა ფრაქციად (5 მმ, 6 მმ, 8 მმ, 10 მმ, 12 მმ), რომლის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 50 $მ^3$/სთ. საწარმოში წელიწადში დამუშავდება 100 ათ $მ^3$ ბალასტი“. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო რეჟიმისა (წელიწადში 240 დღე, დღე-ღამეში 8 საათი) და საათობრივად გადასამუშავებელი ნედლეულის (50 ტ/სთ) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ობიექტზე წლიურად გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-2 გვერდზე აღნიშნულია, რომ საწარმოო მიზნით წყალაღება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული ჭაბურღილიდან, ხოლო მე-3 გვერდზე მითითებულია რომ საწარმოო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება „იმავე მდინარეში“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ფეკალური წყლების ჩაშვება განხორციელდება დამაგროვებელში.“ დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვების ობიექტის სახელწოდება და ტიპი;
- დაზუსტებას საჭიროებს ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს სალექარში წარმოქმნილი შლამის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და გაფრქვევის წყაროების შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საწარმოს მთლიან ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მისი არსებობის შემთხვევაში იგი მოხსნილი იქნება და კანონმდებლობის სრული დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე.“ სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იქნეს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემთხვევაში, მისი შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო